ბრძანება:**ბ47. 4725232001**
თარიღი:**20/08/2025**

ბრძანება N66

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 27 აგვისტოს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

1.2 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

1.3 ჩოხატაურში 9 აპრილის ქ. #25-ში მდებარე 950.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ([redacted]) და მასე მდებარე #2 და #4 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი

1.4 ინფორმაცია ა(ა)ი.პ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ, საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების

სამუზეუმო ფონდისა და მართვის ორგანიზების სფეროში მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: სოფიკო გაფრინდაშვილი

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი